

აკულტურაციის ორიენტაციების საზომი ინსტრუმენტის კროს - კულტურული ადაპტაცია

ანასტასია ქიტიაშვილი, პროფესორი
თინათინ ტყეშელაშვილი, დოქტორანტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია აკულტურაციის ორიენტაციების საზომი ინსტრუმენტის (Snauwaert B., Soennens B., Vanbeselaere N., 2003) კროს-კულტურული ადაპტაცია და ინსტრუმენტის გამოყენებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების აკულტურაციის ორიენტაციის განსაზღვრა. კვლევა ჩატარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებთან, რომლებიც ჩართულები იყვნენ უმაღლესი განათლების სისტემის საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში დანერგილ პროგრამაში "1+4".

კვლევის პირველ ეტაპზე ადაპტირდა აკულტურაციის ორიენტაციის საზომი. ორიგინალი საზომი არის ოთხ დებულებიანი და ეფუძნება აკულტურაციის ორგანოზომილებიან მოდელის ორ განსხვავებულ კონცეფციას. ორივე კონცეფციაში პირველ განზომილებას წარმოადგენს საკუთარი კულტურის შენარჩუნების მნიშვნელობის შეფასება. მეორე განზომილებით კი ერთ შემთხვევაში ფასდება (1) მასპინძელი საზოგადოების კულტურის მიღება, ხოლო მეორე შემთხვევაში (2) მასპინძელ საზოგადოებასთან კონტაქტის/ურთიერთობის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მნიშვნელობა. ამ ორი მიდგომის მიხედვით ხდება აკულტურაციის ოთხი შესაძლო ორიენტაციის დადგენა: ინტეგრაციის, ასიმილაციის, სეპარაციისა და მარგინალიზაციის. სნაუვერტის და კოლეგების საზომი ინსტრუმენტის კროს-კულტურული ადაპტაცია მოიცავდა როგორც ინსტრუმენტის თარგმან-უკუთარგმანს, ასევე ადაპტაციას. კითხვარის ქართული ვერსიის შესაქმნელად ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 435 სტუდენტმა (202 სომეხი და 233 აზერბაიჯანელი სტუდენტი). აკულტურაციის მოცემული ოთხდებულებიანი სკალის კრონბახის ალფა კოეფიციენტი არის 0.78, რაც ორიგინალური სკალის მაჩვენებელზე (.71) მაღალია. შესაბამისად, შესაძლებელია ინსტრუმენტი სანდოდ მივიჩნიოთ და რეკომენდაცია გავუწიოთ მის გამოყენებას შემდგომ კვლევებში.

კვლევის მეორე ეტაპზე შემოწმდა ორი ჰიპოთეზა; ერთის მიხედვით, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების უმრავლესობა აკულტურაციის ინტეგრაციულ ორიენტაციას მიანიჭებდა უპირატესობას, ხოლო მეორე ჰიპოთეზის მიხედვით კვლევაში მონაწილე ეთნიკურ უმცირესობებს ინტეგრაციის უფრო მაღალი მაჩვენებელი ექნებოდათ კონტაქტის მიდგომით გაზომვის შემთხვევაში. კვლევა ჩატარდა იმავე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებთან. კვლევაში რესპონდენტების უმრავლესობამ ორივე კონცეფციის მიხედვით ინტეგრაციის ორიენტაციას მიანიჭა უპირატესობა, შემდეგ კი სეპარაციის სტრატეგიას; ხოლო ინტეგრაციის მზაობა გამოხატული იყო უფრო კონტაქტის, ვიდრე ქართული კულტურის მიღების კონცეფციის შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები: აკულტურაციის ორიენტაციების საზომი, საზომის ადაპტაცია, აკულტურაცია, ინტეგრაცია, ასიმილაცია, სეპარაცია, მარგინალიზაცია.

შესავალი

რუდმინის (Rudmin F. W., 2003) მიერ მომზადებულ ტაქსონომიების ქრონოლოგიაში აკულტურაციის 68 ტიპოლოგიაა მოცემული. ჩამონათვალში ბოლო ავტორია ბერი, რომელმაც შემოგვთავაზა საკუთარი კულტურული რეალობიდან განსხვავებულ კონტექსტში მოხვედრილი ინდივიდის ქცევაზე „მიმღები საზოგადოების“ გავლენის კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო. ბერის მიდგომა ორგანოზომილებიან მოდელს წარმოადგენს. *ერთგანზომილებიანი* მოდელისგან განსხვავებით, *ორგანოზომილებიანი* მოდელის მიხედვით, ახალ კულტურასთან იდენტიფიცირება და მისი ელემენტების მიღება შესაძლებელია პირვანდელი კულტურის შენარჩუნების პარალელურად (Berry 1980&2006, Bourhis et al. 1997, Hutnik 1986). ბერი გამოყოფს ორ კულტურაში ცხოვრების ოთხ შესაძლო სტრატეგიას - *ასიმილაციას, ინტეგრაციას, სეპარაციასა და მარგინალიზაციას.*

ბერის მიერ 1980-90-იან წლებში აკულტურაციაზე ჩრდილოეთ ამერიკაში ჩატარებულ კვლევებში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის¹ მიგრანტებმა. შედეგების მიხედვით, კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებდა ინტეგრაციის სტრატეგიას, შემდეგ ასიმილაციას ან სეპარაციას. ყველაზე იშვიათად ვლინდებოდა მარგინალიზაციის სტრატეგია. ბერის აზრით, ინტეგრაციული ორიენტაციის არჩევანი შესაძლებელია განპირობებული ყოფილიყო პლურალისტული იდეოლოგიით და ქვეყნის ინტეგრაციული პოლიტიკით (Bourhis et al. 1997).

ემპირიულ კვლევებზე დაყრდნობით, მკვლევრებს შორის გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა მეორე განზომილების კონცეპტუალიზაციასთან დაკავშირებით. ბერის იმიგრანტების აკულტურაციის სკალაზე (Immigrant Acculturation Scale, IAS) ორი განზომილება იზომება: (1) არის თუ არა ღირებული პირისთვის კულტურული იდენტობის და მახასიათებლების შენარჩუნება და (2) არის თუ არა ღირებული პირისთვის ურთიერთობა სხვა ჯგუფებთან? (Bourhis et al. 1997). ბური მიიჩნევს, რომ ეს ორი განზომილება თვისებრივად განსხვავებულია, რადგან ერთის ფოკუსში საკუთარ კულტურა, ხოლო მეორის მიმღები საზოგადოების წარმომადგენლებთან ურთიერთობა არის მოქცეული. ამ შესაძლო არათანმიმდევრულობის გადასაწყვეტად ბურიმ მეორე განზომილების შესწავლისას აქცენტი გააკეთა „მიმღები საზოგადოების კულტურის მიღებაზე“ და მოახდინა ადაპტირებული სკალის ტესტირება (, Bourhis et al. 1997).

მეცნიერთა შორის აღნიშნული დისკუსიის ფონზე, სნაუვერტმა და მისმა კოლეგებმა (2003) აქცენტი გააკეთეს აკულტურაციის ორიენტაციების პარალელურ გაზომვაზე ორი მიდგომის/მოდელის მიხედვით, რომლებშიც მეორე განზომილება *კონტაქტის* (contact) და *მიღების* (adoption) კონცეპტუალიზაციას ეფუძნება. პირველის შემთხვევაში, დომინანტურ ჯგუფთან კონტაქტის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მნიშვნელოვნება იზომება (ბერის მიხედვით), მეორეში კი დომინანტური ჯგუფის კულტურის ელემენტების მიღება (ბურის მიხედვით). გამოყენებული იყო მარტივი საზომი, რომელშიც პირდაპირი კითხვები იყო დასმული. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 124 პირმა (37% მდედრობითი, ხოლო 63% მამრობითი

¹ პორტუგალიელები, უნგრელები და კორეელები კანადაში (1989), ლიბანელები კანადაში (1993) და ინდოელები აშშ-ში (1992). (Bourhis et al. 1997))

სქესის წარმომადგენელი; საშუალო ასაკი=21). კვლევის ყველა მონაწილეს ჰყავდა თურქი მშობლები. 96 დაბადებული იყო ბელგიაში, დანარჩენი (28) კი ბელგიაში ადრეულ ასაკში ჩამოვიდა.

ამ კვლევის შედეგად აკულტურაციის ორიენტაციები განსხვავებულად გადანაწილდა. კონტაქტის კონცეფციის მიხედვით, ინტეგრაციას თურქი მიგრანტები ინტეგრაციის ორიენტაციას ანიჭებდნენ უპირატესობას (82%), ხოლო კულტურის მიღების კონცეფციის მიხედვით ინტეგრაციის მხოლოდ 37%-ის, სეპარაციის სტრატეგია კი 56%-ის შემთხვევაში დადგინდა. კვლევაში მონაწილეებისთვის ბელგიელბთან კონტაქტი უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ($M=4.36$), ვიდრე ბელგიური კულტურის ელემენტების მიღება ($M=3.20$). შესაბამისად ავტორები ასკვნიან, რომ კვლევისას საკვანძო მნიშვნელობა აქვს რომელი კონცეფციის მიხედვით გავზომავთ დომინანტურ ჯგუფთან მიმართებას, რადგან უფრო სიღრმისეულად გავიგოთ შესაბამისი კონტექსტი და უმცირესობის დამოკიდებულება მიმღებ საზოგადოებაში ცხოვრების მიმართ. როგორც ამ კვლევამ ცხადყო, შესაძლებელია უმცირესობა გარკვეულ ეტაპზე უფრო მზად იყოს უმრავლესობასთან კონტაქტისთვის, ვიდრე დომინანტური კულტურის ელემენტების მისაღებად (Snauwaert et.al, 2003).

1. კვლევის მიზნები და აქტუალობა

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სნაუვერტის და კოლეგების მიერ გამოყენებული აკულტურაციის ორიენტაციების საზომი ინსტრუმენტის კროს-კულტურული ადაპტაცია და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების ჯგუფის აკულტურაციის ორიენტაციების განსაზღვრა.

კვლევის პირველი ჰიპოთეზას წარმოადგენდა დაშვება, რომ კვლევაში მონაწილეებს შორის დომინანტური იქნებოდა ინტეგრაციის ორიენტაცია, ორივე მოდელის მიხედვით. აღნიშნული დაშვება ეყრდნობოდა კვლევაში მონაწილე ჯგუფის სპეციფიკას და კვლევის კონტექსტს; უნივერსიტეტში ჩასაბარებლად რესპონდენტებს გრძელვადიანი პროცესის გავლა უწევდათ, რაც მოიცავდა უმაღლესი განათლების საქართველოში მიღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, მისაღები გამოცდისთვის მზადებას და ჩაბარებას, რასაც უნდა გაეზარდა ინტეგრაციის ორიენტაცია.

კვლევის მეორე ჰიპოთეზა დაეფუძნა სნაუვერტის კვლევის ერთ-ერთ ძირითად შედეგს და გულისხმობდა, რომ კვლევაში მონაწილე ეთნიკური უმცირესობებს ინტეგრაციის უფრო მაღალი მაჩვენებელი ექნებოდათ *კონტაქტის* მიდგომით გაზომვის შემთხვევაში.

სამეცნიერო თვალსაზრისით, ამ მიგნებების გადამოწმება მნიშვნელოვანია სხვადასხვა, მათ შორის ქართულ კონტექსტში. ამგვარ კვლევას გამოყენებითი მნიშვნელობაც აქვს, რადგან უფრო სიღრმისეულად გვაჩვენებს თუ როგორია ეთნიკური უმცირესობების აკულტურაციის ორიენტაციები, რისთვის არიან და არ არიან მზად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები და რა განაპირობებს მათ აკულტურაციის განწყობებსა და ქცევას. ეს მათზე მორგებული სტრატეგიების დაგეგმვის საშუალებას შექმნის და ხელს შეუწყობს დომინანტურ საზოგადოებაში მათი ადაპტაციის პროცესს.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შემთხვევა გამორჩეულია იმიტაც, რომ მეტნაკლებად იდენტურ კონტექსტში მყოფი ორი ეთნიკური ჯგუფის აკულტურაციის პროცესის ერთმანეთთან შედარების შესაძლებლობას გვაძლევს.

2. კვლევის მეთოდოლოგია


ინსტრუმენტის გამოყენება დაიგეგმა და განხორციელდა უფრო ფართო საუნივერსიტეტო პროექტის ფარგლებში (მაღლაკელიძე, მენაღარიშვილი, ტყემელაშვილი, ჭუმბურიძე, 2018), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანელმა, ქართველმა და სომეხმა სტუდენტებმა.

კვლევა ჩატარდა 2017 წლის ოქტომბერ-დეკემბერში. მასში საერთო ჯამში 435 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. რესპონდენტების 54.3% (N = 236) მდებრობითი სქესის, ხოლო 45.7%. (N = 199) მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო. კვლევის მონაწილე სტუდენტები “1+4” პროგრამაში ჩართულობის პრინციპით შეირჩნენ. ეროვნებით სომეხი (N = 202) და ეროვნებით აზერბაიჯანელი სტუდენტების (N=233) შემთხვევაში შერჩევა მოხდა ხელმისაწვდომი შერჩევის მიხედვით ორ უნივერსიტეტში - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. გასათვალისწინებელია, რომ 2010-2017 წლებში “1+4” პროგრამაში ჩაირიცხა 3,829 აზერბაიჯანულ ენოვანი და 1795 სომხურ ენოვანი სტუდენტი².

ყველა რესპონდენტი იყო საქართველოს მოქალაქე. მათი საშუალო ასაკი იყო 20 წელი (SD=2, მინიმუმი 17, მაქსიმუმი 28 წელი).

როგორც აღინიშნა, აკულტურაციის ორიენტაციების დასადგენად არჩეული იყო აკულტურაციის საზომი (Snauwaert B., Soennens B., Vanbeselaere N., 2003), რომლის კროს კულტურული ადაპტაცია გადაწყდა. მიდგომა დაეფუძნა აკულტურაციის ორგანზომილებიან მოდელის ორ განსხვავებულ კონცეფციას (იხ. გრაფიკი 1). თუ პირველი განზომილება საკუთარი კულტურის შენარჩუნებაზე სვამს კითხვას, მეორე განზომილება ერთ შემთხვევაში უმრავლესობასთან კონტაქტსა და მონაწილეობაზე (კონტაქტის კონცეფცია, ბერის მიდგომა), ხოლო მეორეში მისი კულტურის ელემენტების მიღებაზეა (ბურის მიდგომა) ფოკუსირებული.

გრაფიკი 1. აკულტურაციის 2 მოდელი



² წყარო: სამედიაციო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში, 2020. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორის ურთიერთობების ცენტრი

კვლევის ინსტრუმენტში ასევე შევიდა დამოგრაფიული ცვლადები, ქართული ენის ფლობის თვითშეფასება, სხვებთან სიახლოვის აღქმა.

კვლევაში მონაწილეები თავად ავსებდნენ ანკეტებს, მათ ჰქონდათ შესაძლებლობა კითხვების შემთხვევაში დახმარება ინტერვიუერისგან მიეღოთ, რომელიც მომზადებული იყო ინსტრუმენტზე მიეცა განმარტება. კვლევა დაახლოებით 15-20 წთ გრძელდებოდა.

კვლევა ჩატარდა ქართულ ენაზე. ამის გამო კითხვარში გათვალისწინებული იყო ენის დონის თვითშეფასება. აზერბაიჯანელი და სომეხი რესპონდენტების 97%-მა (N=412) ქართული ენის ცოდნა შეაფასა საშუალოდ ან უფრო უკეთესად. მხოლოდ 3-მა აზერბაიჯანელმა დააფიქსირა ქართულის ცუდად ცოდნა და არცერთმა სომეხმა. **ეთიკური საკითხი**

კვლევის ჩატარებისას დაცული იყო ეთიკის სტანდარტები. მონაწილეები დასაწყისში ეცნობოდნენ კვლევის მიზნებს, გამოკითხვის ხანგრძლივებს და ინფორმირებულ თანხმობის შემდეგ გადადიოდნენ კითხვარის შევსებაზე. დაცული იყო გამოკითხულთა კონფიდენციალობა და მიღებული შედეგების განზოგადებული ანალიზი მოხდა.

მონაცემთა ანალიზი

მონაცემები დამუშავდა SPSS 21-ის გამოყენებით. განსხვავებულ კულტურულ კონტექსტში/ქვეყანაში და ენაზე კვლევის ჩატარების გარემოებიდან გამომდინარე, საჭირო იყო აკულტურაციის ინსტრუმენტის კროს კულტურული ადაპტაცია. გილემინი და მისი კოლეგების მიერ შემოთავაზებული სახელმძღვანელოზე დაყრდნობით (Guillemen at al., 2000) კროს კულტურული ადაპტაცია ექვს ეტაპად განხორციელდა. მოხდა ორი პირის მიერ ინსტრუმენტის დებულებების საწყისი თარგმანი, რომლის შედეგად მიღებული იყო თარგმანის ორი ვერსია - T1 და T2. შემდეგ მოხდა თარგმანის ორი ვერსიის გაერთიანება (T-12). შეჯერებული ვერსიის უკუთარგმანი ორიგინალურ ენაზე ისევ ორმა პირმა განახორციელა (BT1 და BT2). ექსპერტული განხილვა ოთხი ტიპის ეკვივალენტობის - **სემანტიკური, იდიომატური, გამოცდილების და კონცეპტუალური** - უზრუნველსაყოფად წარიმართა, რის შედეგად მიღებული იყო კვლევაში გამოსაყენებელი საბოლოო ვერსია.

თითოეული დებულების საბოლოო ფორმულირება შემდეგ მსჯელობას დაეყრდნო:

- I. **რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის საკუთარი კულტურის შენარჩუნება?** ინსტრუმენტი უნდა მორგებულიყო ორ ეთნიკურ ჯგუფზე, შესაბამისად სომხური/აზერბაიჯანულის ნაცვლად გადაწყდა ნეიტრალური ფორმულირების გამოყენება, რაც პირდაპირ სვამს კითხვას სომხური/აზერბაიჯანული, შესაბამისად ორივე ჯგუფის შემთხვევაში საკუთარი კულტურის შენარჩუნების მნიშვნელობის შეფასებაზე.
- II. **რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ქართული კულტურის ნაწილობრივ მაინც მიღება?** ამ დებულებაში მოხდა ბელგიურის ქართული კულტურით ჩანაცვლება. უკუთარგმანის ერთ ვერსიაში მიღება გაგებული იყო როგორც აღიარება. თუმცა განსჯის შედეგად ჩაითვალა, რომ მიღება უფრო სწორად გადმოსცემს ამ დებულების არსს და იმ მიზანს, რის გაზომვასაც ის ცდილობს.
- III. **რამდენად მნიშვნელოვანია სხვა ეროვნების საქართველოს მოქალაქეებთან კარგი და რეგულარული ურთიერთობების ქონა?**

მსჯელობა წარიმართა გამოყენებულიყო სიტყვა კონტაქტი თუ ურთიერთობა. მისი მახასიათებელი „კარგი და რეგულარული“ პირდაპირი მნიშვნელობით ითარგმნა, რადგან ორივე მნიშვნელოვანი იყო იმ ურთიერთობის გასაზომად, რაზეც უნდა გვეკითხა რესპონდენტებისთვის.

ამ დებულების ფორმულირებისას ქართველების ნაცვლად თუ საქართველოს მოქალაქეებთან ურთიერთობის მნიშვნელობაზე გაკეთდა აქცენტი საკითხის სენსიტიურობის გამო. მხედველობაში იყო მიღებული სამეცნიერო ლიტერატურაში „მასპინძელი/მიმღები საზოგადოების“ და „სხვა ჯგუფებთან“ ურთიერთობის ტერმინები. თუმცა იმისთვის, რომ კონკრეტულ ჯგუფს არ მოეაზრებინა საკუთარი ეთნიკური ჯგუფიც ამ პოპულაციაში, გადაწყდა დაზუსტება, რომ იგულისხმება „სხვა ეროვნების“ წარმომადგენლები.

IV. რამდენად მნიშვნელოვანია სრული მონაწილეობა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში?

იმავე მოსაზრებით, გადაწყდა ქართული საზოგადოების ნაცვლად, ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობაზე დასმულიყო კითხვა, რაც უფრო კარგად გამოხატავს ამ დებულების არსს და უფრო თანმიმდევრული იქნებოდა წინა დებულებასთან.

სანდობის შესამოწმებლად გამოყენებულია კრონბახის ალფა, რომელიც დებულებების შინაგანი შეთანხმებულობის შესაფასებელი საზომია.

3. კვლევის შედეგები

1.1 პირველი ნაწილი- აკულტურაციის ინსტრუმენტის კროს კულტურული ადაპტაცია

აკულტურაციის ადაპტირებული ინსტრუმენტის პირველადი ტესტირების შედეგად არ გამოვლინდა ინსტრუმენტთან და დებულებების გაგება-შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემა, რის შედეგადაც გაგრძელდა კვლევა.

ამას გარდა გამოითვალა კრონბახის ალფა ცალკე სომხებისა ($\alpha=.731$) და აზერბაიჯანელების ($\alpha=.816$) ჯგუფებისთვის და ხოლო კვლევის დასრულების შემდეგ მთელი შერჩევისთვის ($\alpha=.787$); კრონბახის ალფა უფრო მაღალია ვიდრე სნაუვერტის და კოლეგების მიერ ჩატარებულ კვლევაში ($\alpha=.71$). ასევე გამოვთვალეთ დებულებების კორელაციები სკალის საერთო მაჩვენებლებთან, რომლებიც ყველა დადებითია და რომელიმე დებულების ამოღება თუ გამოიწვევდა კრონბახის ალფა კოეფიციენტის მაჩვენებლის შემცირებას (იხ. ცხრილი #1)

ცხრილი # 1. კორელაციის კოეფიციენტები და კრონბახის ალფა

რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის	დებულებების კორელაცია სკალასთან	კრონბახის ალფა დებულების ამოღების შემთხვევაში
1. საკუთარი კულტურის შენარჩუნება	.617**	.724
2. ქართული კულტურის ნაწილობრივ მაინც მიღება	.589**	.737
3. სხვა ეროვნების საქართველოს მოქალაქეებთან კარგი და რეგულარული ურთიერთობის ქონა	.569**	.747
4. სრული მონაწილეობა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში	.605**	.730

** $p < .01$

ინსტრუმენტის ვალიდობა შემდეგი სახით შემოწმდა: შინაარსობრივი, რაც ექსპერტების მიერ შეფასდა და კონსტრუქტული, რაც დადგინდა თეორიული მოლოდინების საფუძველზე გარკვეულ ცვლადებს შორის მიმართების დადასტურებით, როგორცაა ინტეგრაციის ორიენტაცია და უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი, ქართველების დამოკიდებულების დადებითი აღქმის მაჩვენებელი და ინტეგრაციის ორიენტაციის დომინანტობა.

1.2 მეორე ნაწილი - აკულტურაციის ორი მოდელის მიხედვით გამოვლენილი ორიენტაციები

კვლევის შედეგების მიხედვით დადასტურდა კვლევის პირველი ჰიპოთეზა, რომლის მიხედვით აკულტურაციის ორივე მოდელის მიხედვით კვლევაში მონაწილეებს შორის დომინანტური ინტეგრაციის ორიენტაცია უნდა ყოფილიყო. კონტაქტის კონცეფციის მიხედვით, ინტეგრაციის ორიენტაცია კვლევაში მონაწილე ეთნიკური უმცირესობის სტუდენტების 81%-მა (N=346), ხოლო კულტურის მიღების კონცეფციის მიხედვით, 76.1%-მა (N=325) დააფიქსირა ($\chi^2=438.99; p<.05$). ორივე ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის შემთხვევაში ინტეგრაციის შემდეგ არჩევანი სეპარაციაზე კეთდება (იხ. ცხრილი #2). დადასტურდა მეორე ჰიპოთეზაც. სწავლვის კვლევის შედეგების მსგავსად, ორივე მოდელი მიხედვით აკულტურაციის ორიენტაციების განაწილება გვიჩვენებს, რომ ინტეგრაციის მზაობა გამოხატულია უფრო კონტაქტის, ვიდრე ქართული კულტურის მიღების კონცეფციის შემთხვევაში.

ცხრილი #2. აკულტურაციის ორიენტაციების განაწილება

აკულტურაციის ორიენტაციები	კონტაქტის კონცეფცია (Contact) N	%	კულტურის მიღების კონცეფცია (Adoption) N	%
ინტეგრაცია	346	81.0	325	76.1
სეპარაცია	33	7.7	55	12.9
ასიმილაცია	19	4.4	36	8.4
მარგინალიზაცია	29	6.8	11	2.6
სულ	427	100.0	427.0	100.0

აკულტურაციის ორიენტაციების შედარება ეთნიკური უმცირესობის ორი ჯგუფის მიხედვით

ორი მოდელის მიხედვით დადგენილი აკულტურაციის ორიენტაციები ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების მიხედვით მცირედით განსხვავდება ერთმანეთისგან. სომეხ სტუდენტებში გამოხატულია კონტაქტის და ქართული კულტურის მიღების მიხედვით უფრო მეტი მზაობის ტენდენცია. ხოლო აზერბაიჯანელ სტუდენტებში ინტეგრაციის ორიენტაცია საქართველოს მოქალაქეებთან რეგულარული ურთიერთობას უფრო გულისხმობს, ვიდრე ქართული კულტურის. ეს ტენდენცია სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

ცხრილი #3. აკულტურაციის ორიენტაციების განაწილება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით

აზერბაიჯანელი სტუდენტები

სომეხი სტუდენტები

აკულტურაციის ორიენტაციები	კონტაქტის მოდელი		მიღების კონცეფტუალიზაცია		კონტაქტის კონცეფტუალიზაცია		მიღების კონცეფტუალიზაცია	
	N	%	N	%	N	%	N	%
ინტეგრაცია	184	80	169	73.8	162	82.2	156	78.8
სეპარაცია	19	8.3	34	14.8	14	7.1	21	10.6
ასიმილაცია	10	4.3	5	2.2	9	4.6	6	3
მარგინალიზაცია	17	7.4	21	9.2	12	6.1	15	7.6

მნიშვნელოვანი განსხვავდება კვლევაში მონაწილე ეთნიკური უმცირესობების ქართული კულტურის მიღებისადმი დამოკიდებულება. აზერბაიჯანელებზე (73.8%) მეტად სომეხმა სტუდენტებმა უპირატესობა ქართული კულტურის ნაწილობრივ მიღებას მიანიჭეს (78.8%), რაც შესაძლებელია უკავშირდებოდეს კულტურული სიახლოვის აღქმას, რაც შესაძლებელია უმცირესობის ამ ჯგუფის და უმრავლესობის ქრისტიანობასთან იყოს კავშირში. ამავე კვლევაში გამოყენებული სხვების საკუთარ თავში ჩართულობის გრაფიკული ინსტრუმენტის (Aron et al., 1992) მიხედვით, რომელიც შვიდი წყვილი ვერტიკალი დიაგრამის მეშვეობით ზომავს სხვებთან სიახლოვეს, სომეხი სტუდენტები მართლმადიდებელ ქრისტიანთან უფრო განიცდიან სიახლოვეს ($M=4.07$, $SD=2.24$), ვიდრე აზერბაიჯანელი სტუდენტები ($M=4.3.50$, $SD=2.1$). საინტერესო იქნება საკითხის უფრო ღრმად შესწავლა თვისებრივი მეთოდის გამოყენებით.

სნაუვერტი და კოლეგები (2003) საკუთარი კვლევის საფუძველზე ასკვნა, რომ მკვლევარებმა მკაფიოდ უნდა განასხვავონ ერთმანეთისგან სხვადასხვა კონცეფციის/მოდელის მიხედვით დადგენილი ორიენტაციები. ისინი მიიჩნევენ, რომ უმრავლესობის კულტურის მიღება კონცეპტუალურად უფრო სიღრმისეული ფენომენია და ინტეგრაციისთვის უფრო მეტ ფსიქოლოგიურ მზაობას მოითხოვს უმცირესობის მხრიდან, ვიდრე მიმღებ საზოგადოებასთან კონტაქტი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აკულტურაციის კვლევის მონაცემების სწორ ინტერპრეტაციას და დაინტერესებულ მხარეებთან შედეგების სწორ კომუნიკაციას. რადგან კვლევის საფუძველად დადებული კონცეპტუალიზაციის გათვალისწინების გარეშე, მხოლოდ აკულტურაციის ორიენტაციები ზედაპირულ ინფორმაციას წარმოადგენს (Sanuwaert et al., 2003).

5. დასკვნები

აკულტურაციის საზომი ინსტრუმენტის კროს-კულტურული ადაპტაციის აღწერილი ეტაპების გავლის და მიღებული შედეგების შეფასების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ აკულტურაციის საზომი ქართულენოვანი ინსტრუმენტი იმეორებს ორიგინალი, არაქართულენოვანი ინსტრუმენტის მახასიათებლებს.

ქართულენოვანი ინსტრუმენტის სანდოობას ადასტურებს კრონბახის მაღალი კოეფიციენტი, ხოლო საზომის ვალიდობას - შინაარსობრივი და კონსტრუქტული ვალიდობა.

კვლევის შედეგების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეთნიკური უმცირესობების სტუდენტების უმრავლესობაში ინტეგრაციის ორიენტაციის დომინანტობის და ამ სტრატეგიის რეალურ ცხოვრებაში ასახვის დასტურია მათი უნივერსიტეტში სწავლა. კვლევამ აჩვენა, რომ ინტეგრაციის მზაობა გამოხატული იყო უფრო კონტაქტის, ვიდრე ქართული კულტურის მიღების კონცეფციის შემთხვევაში. აკულტურაციის ორი მოდელის მიხედვით შეფასებამ, ორი ეთნიკური უმცირესობის

ჯგუფის აკულტურაციის პროცესის და ინტეგრაციის მზაობას შორის განსხვავების უფრო სიღრმისეული სურათი მოგვცა. მნიშვნელოვანი იქნება ამ განსხვავების განმაპირობებელი ფაქტორების შეფასებისთვის დამატებითი კვლევის ჩატარება.

ადაპტირებული საზომი წარმოადგენს მარტივ ინსტრუმენტს ორი მოდელის მიხედვით აკულტურაციის ორიენტაციების დასადგენად, რაც მკვლევრებს მისცემს საშუალებას აკულტურაციის პროცესი უფრო ღრმად შეისწავლონ და დამატებითი ემპირიული მონაცემები შეაგროვონ; ასევე, ღირებული რეკომენდაციები მისცენ პოლიტიკის და ინტეგრაციული პროგრამების შემქმნელებს და ამით ხელი შეუწყონ მტკიცებულებაზე დამყარებული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას.

გამოყენებული ლიტერატურა

- [1] Arends-Toth, J., & van de Vijver F. J. R. *Assessment of psychological acculturation. Handbook on Acculturation Psychology*. Cambridge University Press; 143-160, 2006
- [2] Beaton D. E., Bombardier C., Francis Guillemin., & Ferraz, M. *Guidelines for the Process of Cross-Cultural Adaptation of Self-Report Measures*. 3186–3191. 2000
- [3] Berry J, W. Immigration, Acculturation and Adaptation, Queen’s University, Ontario, Canada. *Applied Psychology: An international Review* 1997, 46 (1), 5-68. 1997
- [4] Berry J, W. *Context of acculturation. Handbook on Acculturation Psychology, Handbook on Acculturation Psychology*. 26-42. 2006
- [5] Berry, W. *Conceptual approaches to acculturation*. In K. Chun, P. Balls-Organista, & G. Martin (Eds.), *Acculturation: Advances in theory, measurement, and applied research* (pp. 17-37). Washington DC: American Psychological Association Press. 2003
- [6] Burhis R. Y., Moise L. C., Perreault S., & Senecal S. (1997) Towards an Interactive Acculturation Model: A Social Psychological Approach. *International Journal of Psychology*. Volume 32, 1997 - Issue 6
- [7] Geertz, C. *Religion as a cultural system*. In C. Geertz (Ed.), *The interpretation of cultures*, New York: Basic Books., Harper Torchbooks. 1973
- [8] Güngör, D., Fleischmann, F., & Phalet, K.. Religious identification, beliefs, and practices among Turkish Belgian and Moroccan Belgian Muslims: Intergenerational continuity and acculturative change. *Journal of Cross-Cultural Psychology*, 42, 1356-1374. 2011
- [9] Hutnik, N. *Patterns of ethnic minority identification and modes of social adaptation*. Dehli University. 150-167, 2010
- [10] Jasinsaja-Lahti I., Liebkind K., Horenczyk G., & Schmitz, P. *Interactive nature of acculturation: perceived discrimination, acculturation attitudes and stress among young ethnic repatriates in Finland, Israel and Germany*, 105-123, 2003
- [11] Rudmin, W. Critical History of the Acculturation Psychology of Assimilation, Separation, Integration and Marginalization. *Review of General Psychology*. 3-37, 2003
- [12] Sam, L. (2006). Acculturation Conceptual background and core components. *Handbook on Acculturation Psychology*.

- [13] Saroglou, V. , & Cohen, B. (2011). *Psychology of Culture and Religion: Introduction to the JCCP Special Issue*. *Journal of Cross-Cultural Psychology* 42(8):1309-1319
- [14] Snauwaert, B., Soenens, B., Vanbeselaere, N., & Boen, F. (2003). When integration does not necessarily imply integration: Different conceptualizations of acculturation orientations lead to different classifications. *Journal of Cross-Cultural Psychology*, 34(2), 231–239. <https://doi.org/10.1177/0022022102250250>
- [15] Thurnwald R. The Psychology of Acculturation. *American Anthropologist*. 557-569. 1932
- [16] Triandis, C., & Triandis, M.(1962). A cross-cultural study of social distance. *Psychological Monographs: General and Applied*, 76(21), 1–21. <https://doi.org/10.1037/h0093836>
- [16] Ward, C., Bochner, S., & Furnham, A. (2001). *The psychology of cultural shock*. Routledge

Article received 2022-02-11